ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 54

"1" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ: № 01.11.12.002.061) მდებარე 168.54 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იასთვის" (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: №01.11.12.002.061) მდებარე 168.54 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის №19.123.184 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა-ნაგებობა *№1*-ის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061) II სართულზე არსებული 445.21 კვ.მ. ფართიდან 168.54 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „იასთვის" (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. უსასყიდლო უზურფრუქტის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლით

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე